ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილა

„აუცვალდი, ტურფა ქალანავ,
ილხინე, იეფრთ მზარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მკირეწლოვანთათვის
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

572
1953

№ 3 მარტი 1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

1953 წლის 5 მარტს საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე ძძიძე ავგუსტინეს მეოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

1953 წლის 9 მარტს მოსკოვში წითელ მოედანზე მოხდა **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** დაკრძალვა.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის მოძღვრობი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს.

შემდეგ სიტყვას ამბობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი [redacted].

შემდეგ სიტყვით გამოდის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

11 საათი და 54 წუთია. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი დახურულად აცხადებს სამგლოვიარო მიტინგს, მიძღვნილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გენერალისიმუს **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** სხეულისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, უცხოეთის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები ჩამოდიან მავზოლეუმის ტრიბუნიდან. ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, [redacted], ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი იღებენ კუბოს და ნელა მიაქვთ იგი მავზოლეუმში, რომლის შესავლის თავზე წარწერილია ორი უსაზღვროდ მვირფასი უკვდავი სახელი:

ლენინი
სტალინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ 5369

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რას დაგვძახოდა რადიო

რას დაგვძახოდა რადიო,
რა სათქმელს გვეუბნებოდა?!
გულს არ სჯეროდა ნათქვამი,
თვალი კი ცრემლად დნებოდა.

მე არ მინახავს ბელადი,
არა ვყოფილვარ სტალინთან,
მაგრამ სულ მხარში ვუდექი
თავდადებული სწავლითა.

მარადჟამს ასე ერთგულად,
მტკიცედ ვიდგები მარადჟამს,
სტალინის საქმის მებრძოლად,
სტალინის საქმის დარაჯად.

ირაკლი აბაშიძე

თაიგული ბელადის დედას

ის წავიდა, მან დაგვტოვა,
ყველგან ისმის ხალხის გლოვა:
— დიდი ძია აღარ არის!—
აუცრემლდა ნანას თვალი.
ყვავილები შეკრა გუნდად,
ნეტავ, ნეტავ რისთვის უნდა?!
— დედი, წამო, ძიას დედას
გავუქარვოთ იქნებ სევდა!..
მთაწმინდისკენ მაღლა, მაღლა,
მიმღელვარებს ხალხის ტალღა.
მოსულან, რომ დედას უთხრან:
— როგორ ვგლოვობთ,
როგორ, ვწუხვართ!
უთხრან: იგი მტრებს კვლავ ზარავს,
ჩვენს იმედად ცოცხლობს მარად!
იქვე მოჩანს თაიგული
და ღუღუნებს დედის გული:
— შენ ნუ სტირი, პაწაწინავ,
შენს გულშიაც აქვს მას ბინა.
არ მომკვდარა, ცრემლებს ნუ ღვრი,
ის შუქია, დიდი შუქი,
ის მზე არის, ხალხის შვება,
ის არასდროს არ ჩაქრება!

ალეკო შენგელია

გეფიცებით, მამავ, მშობლიურო სტალინ!

ჩვენ ყოველდღე ვგრძნობდით
შენს ზრუნვას და ამაგს,
მშობლიურო სტალინ,
საყვარელო მამავ.
შენი სიბრძნის შუქი
ახლაც ნათლად გვადგას,
ჩვენ ხომ შენმა სითბომ
და ალერსმა გვზარდა.
გეფიცებით, მამავ,
სანუკვარო სტალინ,
კვლავაც გასახელებთ
შრომითა და სწავლით.
მშობლიურო სტალინ,
ნათელ მიზნად რომ ჩანს—
არასოდეს დავხრით
კომუნიზმის დროშას.
გეფიცებით, მამავ,
მშობლიურო სტალინ,
შეურყეველ რწმენით,
დაულეველ ძალით
ვემსახუროთ დიად
კომუნიზმის საქმეს.
ვფიცავთ, ვფიცავთ, მამავ,
შენს საყვარელ სახელს.

ნოდარ გურეშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე
1952 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის დღეს

ბავშვები ეთხოვებიან ბელადს

სულ ახლახან იყო ეს... მაისი, სადღესასწაულოდ მორთული წითელი მოედანი. გაზაფხულის სიო არხევს ალისფერ ალმებს. დემონსტრანტები სიმღერით მიდიან მავზოლეუმის წინ. იქ კი, თავის თანამებრძოლთა შორის, ტრიბუნაზეა სტალინი. მშვიდი, ღრმა ფიქრებით აღსავსე მომღიმარი სახით.

— სტალინ! სტალინ! — გაისმა ხალხში და ღიმილი, ბედნიერება, სინაზე იხატება ყველას გამოხედვაში.

აი, მაშინ, იმ ბედნიერ დღეს, ტრიბუნაზე ავიდა პატარა მოსწავლე გოგონა. რა მხურვალედ უცემდა მკერდში გული, როდესაც სიყვარულითა და აღტაცებით ათრთოლებულმა გაუწოდა ყვავილები იოსებ ბესარიონის-ძეს.

— ბავშვებისაგან. — თქვა მან.

გოგონა მიეკრა იოსებ ბესარიონის-ძის მხარს და ჩახედა მშობლიურ თვალებში. სტალინი მიხვდა ყველაფერს და მოეხვია გოგონას. მასთან ერთად ის თავის ფიქრებში მოეხვია საბჭოთა ქვეყნის ბავშვებს — ახალგაზრდობას, რომელიც ასე მხურვალედ უყვარდა.

სამი დღე და სამი ღამეა მოსკოვის ქუჩებში ქარი აფრიალებს სამგლოვიარო ალმებს. კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი. აი, ბავშვთა ჯგუფს გამოეყო გოგონა. მან მაგრად მოკუმა ტუჩები, რომ ყელს მობჯენილი ქვითინი შეიკავოს. გოგონამ ყვავილები იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის კუბოსთან დადო.

— ბავშვებისაგან! — ოდნავ გასაგონი ჩურჩულით ამბობს იგი და უცქერის, უცქერის მშობლიურ სახეს.

უმოძრაოდაა სტალინი. იგი მაშინდელივით ველარ დასძრავს ხელებს გოგონას მოსახვევად, თვალები დახუჭული აქვს, სახე მშვიდი. და გოგონა ველარ ეფერება დაბლა კვარცხლბეკის საფეხურებით. მწუხარებას შეუკუმშავს ბავშვის გული: სტალინი აღარ გვყავს.

სტალინი ცოცხალია. ის ცოცხლობს ყოველ დიდ სახალხო საქმეში. გაჩაღებულია კომუნისტური მშენებლობანი. გაზაფხული დაამტვრევს ყინულებს, თოვლი დადნება და აჩქეფდებიან სტალინური მდინარეებისა და ზღვების ტალღები; ამწვანდებიან ჩვენს ქვეყანაში სტალინური ნორჩი ტყეები; მზე მცხუნვარე სხივებით შეიჭრება სტალინური სკოლების ფანჯრებში და უფრო ძლიერად აელვარდებიან პიონერების მკერდზე ალისფერი ყელსახვევები.

„ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“ — ისმის ათასობით პიონერრაზმების ფიცი.

„მზად ვართ!“

მ. პრილეჟაევა

უკეთესად ვისწავლით

ეს სულ ახლახან იყო. 1952 წლის პირველ მაისს მე მაგრად, მაგრად მოვეხვიე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. რა მხიარული, რა ხალისიანი იყო. მე მას ყვავილების თაიგული ვუძღვენი მოსკოვის ყველა მოსწავლეებისაგან. მაშინ ყველაზე ბედნიერად ვგრძნობდი თავს მთელ ქვეყანაზე.

და უცებ სტალინი გარდაიცვალა. რა დიდი უბედურებაა ეს. მაგრამ უნდა დავძლიოთ მწუხარება; ჩვენ, მოსწავლეებმა უფრო უკეთესად უნდა ვისწავლოთ. ეს სურდა იოსებ ბესარიონის-ძეს.

ვერა კონდაკოვა
მეოთხეკლასელი მოსწავლე.
მოსკოვი, 612-ე სკოლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი დინამოს სტადიონზე
1947 წლის 20 ივლისს

მშობლიურო ჩვენო მამავ!

სტალინ!
დიდო მეგობარო,
მშობლიურო ჩვენო მამავ,
ალარ გვყავხარ!.. დიდ-პატარას
ცხარე ცრემლი თვალს გვინამავს.
ჩვენზე ფიქრსა და ზრუნვაში
ო, რაოდენს სტეხდი ღამეს,
გვთავაზობდი ახალ-ახალ
დღის სიხარულს, დღის სიამეს!
სტალინ!
ჩვენო მეგობარო,
მშობლიურო ჩვენო მამავ,
აკვნიდანვე შენს დიდ სახელს
ვისმენთ, როგორც იავნანას.
გვასაზრდოებს შენი სიბრძნე,
მხნეობას და ხალისს გვაძლევს;
მთის არწივის ფრთა შეუსხამს
შენს ნათელ და დიად აზრებს.
ჩვენც ვიზრდებით, ჩვენც ვმაღლდებით,
შენს საქმეს რომ მივცეთ მხარი,—
სულ გაზაფხულს ზეიმობდეს
ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი.

ა. ონელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩუმად... სძინავს...

ბაბამ გაზეთი გაშალა და ამოიოხრა. დედამ გაზეთს დახედა და ატირდა.

— არ მჯერა, რომ მოკვდა, — თქვა დედამ, — გულს არ სჯერა მისი სიკვდილი. ასე მგონია, სძინავს და გაიღვიძებს.

ნათელაც დააკვირდა გაზეთს. ოჰ, ასეთი სურათი ჯერ არ უნახავს ნათელას! პირიქით, ყველა სურათზე, რომელიც კი ნათელას ჰქონდა, ძია სტალინს მომღიმარი სახე უბრწყინავდა. ის სურათები ნათელას სასთუმალთან ჰქონდა ჩამოკიდებული.

აი, ძია სტალინს ბავშვები შემოხვევიან, ყვავილები მიუტანიათ, შეჰხარიან დიდ ძიას. დიდი ძიაც ულიმის, სიყვარულით უყურებს მათ.

აი, ლენინის მავზოლეუმზე, ძია სტალინს ბავშვი დაუყენებია თავის გვერდით. ზღვა ხალხი მოედინება, პატარა გოგონა და დიდი ძია ამ ზღვა ხალხს უყურებენ. ორთავეს უხარია. ორივე ბედნიერია.

აი, კიდევ: ძია სტალინს პატარა ბავშვი ჩახუტებია, მარჯვენა ხელი სტალინისათვის შემოუხვევია. ძია სტალინი იღიმება... ოჰ, რა ტკბილად იღიმება!..

ახლა კი ეს მომღიმარი და კეთილი ძია კუბოში წევს და თვალები დაუხუჭავს. კუბოს გარშემო სამგლოვიარო გვირგვინები აწყვია.

— გულს არ სჯერა, რომ მოკვდა. ასე მგონია, სძინავს. — გაიმეორა დედამ და მძიმე ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

ნათელასაც არ სჯერა, რომ ძია სტალინი ცოცხალი არ არის. ნათელას სურს, რომ ძია სტალინს ეძინოს, მხოლოდ ეძინოს. მძინარემ ხომ უნდა გაიღვიძოს?

და პატარა ბავშვმა მოისაზრა ის, რაც შეეძლო მის პატარა გონებას.

მან აიღო მაკრატელი, ამოჭრა გაზეთიდან სურათი. შემდეგ სურათს ჩამოაცალა კუბო, გვირგვინები, დარჩა მარტო დიდი ძია. ახლა ძია ისეა, თითქოს სძინავსო. ხომ შეიძლებოდა ასე დასძინებოდა ძია სტალინს? მამაც ასე იძინებს ხოლმე.

და ნათელამ სურათი სწორედ ასე გამოჭრა. შემდეგ დააწება მუყაოზე. ფერადი ფანქრებით მიახატა სად ვარდი, სად ყაყაჩო, სად ფორთოხალი. შემდეგ ნათელამ სურათი თავის საწოლთან დაჰკიდა, დედა ფეხაკრეფით შემოიყვანა და ჩურჩულით უთხრა:

— შეხედე, დედიკო!.. ძია სტალინს სძინავს!.. ჩუმად, სძინავს!..

როდიონ ქორქია

ნახატი ზ. ლეჟავეასი

ქართველის დედა

ნახატი შ. ცხადაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელადო, შენი სახელი

მზეკაცთან სიკვდილს რა უნდა,
გამარჯვებათა სარდალო;
ცხარე ბრძოლებში ნაწრთობო,
მტკიცე ფოლადის სადარო.

მდინარე ზღვებად აქციე,
უდაბნო—გაშლილ ბაღნარად,
გზას კვლავ უნათებს სამშობლოს
შენი ნათელი ჰალარა.

შენმა გენიამ დაგვზარდა,
შენით ვართ ბედნიერები,
მტკიცედ დავიცავთ შენს ანდერძს
ჩვენ, ნორჩი სტალინელები.

არა, ცრემლები არ გვინდა,
ჩვენთან ხარ, განა წახველი,
მარად გაჰყვება ეპოქებს
ბელადო, შენი სახელი.

ქ. ბოგიაშვილი

გლოვის დღე

დედას მკერდში რომ ჩაუკრავს
შავთვალწარბა პატარა,
თალხმოსილი დიდი ქუჩა
ნელა ჩამოატარა.

არაფერი გაეგება,
ამით უფრო დავიწვი.
— ნეტავი შენ,—ვამბობ ბავშვზე,
რომ ჯერ დარდი არ იცი.

ღელავს ხალხი თავდახრილი
ზღვასავით რომ დამდგარა...
ტირის ბავშვი, დედამ ძუძუ
მიაწოდა პატარას.

ეს რა დილა გაგვითენდა,
როცა ცრემლს ღვრის თვით ზეცა.
შევამჩნიე, ბავშვის ცრემლი
დედის ძუძუს დაეცა.

იგრძნო?.. არა, რას იგრძნობდა,
ასე ძუძუმწოვარი!
მაგრამ მჯერა მტკიცედ, როცა
ის გახდება წლოვანი,

ამ ზღვა ხალხის მწუხარება,
ამ ზღვა ხალხის გოდება
კომუნიზმში შესულ ვაჟკაცს
მწარედ მოაგონდება.

ზურაბ ლორთქიფანიძე

ნახატი გ. თოთიბაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც დაიბადა დიდი სტალინი

თინიკო გორში ცხოვრობს. სკოლაში სწავლობს. მეტად უყვარს თავისი სამშობლო ქალაქი. მისი ქალაქი ხომ ძალიან ლამაზია, დამშვენებული ხილის ბაღებით, ამწვანებული მდელოებით, ჩამწკრივებული ვენახებით. მთებს ისე კოხტად შეუკრავთ ქალაქი, თითქოს სდარაჯობენო. თინიკოს ძალიან უყვარს ხიდზე გადასვლა, რომლის ქვევით მიიჩქარის სწრაფი და მქუხარე ლიახვი. მაგრამ გოგონასთვის ყველაზე ძვირფასია პატარა სახლი, სადაც დაიბადა და თავისი ბავშვობის წლები გაატარა საყვარელმა ბელადმა.

თავის პაპა მიხაკოსთან ერთად ბევრჯერ ყოფილა თინიკო იქ, მაგრამ ყველაზე მეტად კი ის დღე ახსოვს, როდესაც პირველად იყო ამ სახლში. ეს იყო რამდენიმე წლის წინათ, 1949 წლის 21 დეკემბერს, როდესაც დიდ სტალინს შეუსრულდა სამოცდაათი წელი.

რა უჩვეულო ზეიმი იყო მაშინ გორში! თითქოს დღეც კი ბრწყინავდა! ამინდი დილიდანვე მზიანი დადგა.

მხიარულად გამოიყურებოდნენ ახლად შელებილი სახლები, რომლის აივნებზე და ფანჯრებზე გადმოეფინათ ნაირ-ნაირი ხალიჩები და მზის სხივებზე ცეცხლივით ელვარებდნენ ალისფერი დროშები. დიდი პორტრეტებიდან, რომლებიც ყვავილებით იყო შემკობილი, ალერსიანად იყურებოდა სტალინი.

თინიკოს გარშემო მხიარული ხმები ისმოდა, სილაღით სავსე სიცილი. ვინ მოსთვლის, იმ დღეს რამდენი სიმღერა მოისმინა თინიკომ.

ეს იყო დიდი, საერთო-სახალხო ზეიმი.

— ასეთი დიდი ზეიმია ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქებსა და სოფლებში. — სიამაყის გრძნობით წარმოთქვა პაპა მიხაკომ და ცრემლები ჩამოუგორდა ბედნიერებით აღსავსე სახეზე.

ეს ხომ აღტაცების ცრემლებია! — ფიქრობს თინიკო.

და განა შეიძლებოდა პაპა გახარებული არა ყოფილიყო?! ისიც ხომ სამოცდაათი წლისა იყო; ისიც ხომ გორში დაიბადა, საყვარელი ბელადის სამშობლოში.

მალე თინიკო და მისი პაპა ხალხს შეუერთდნენ. თინიკოს გვერდით მსუბუქი ნაბიჯით მიაბიჯებს პაპა მიხაკო. მხიარული განწყობილება სიმხნევეს მატებს და მოხუცი ახალგაზრდებს არ ჩამორჩება. თინიკოს მაგრად ჩაუბღუჯავს მოხუცისთვის ხელი.

— ამათ ხომ ხედავ, — ჩუმად ამბობს პაპა, — ესენი ჩინელი მწერლებია; მათ სტუდენტები ახლავთ, ისინი დემოკრატიული გერმანიიდან ჩამოვიდნენ. მათ უკან ამერიკელი მუშები მოდიან. ისინი ყველა ჩვენი მეგობრები არიან, — ალერსიანად დაუმატა პაპამ.

თინიკოს ყველაზე მეტად გოგონები მოსწონს, რომლებსაც კუპრივით შავი თმები წვრილ დალალებად ჩაწნული აყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიათ ზურგზე, ხოლო თავზე ლამაზი სხვადასხვა ფერის ფესკები ახურავთ.

— ეს გოგონები ჩვენი მოძმე რესპუბლიკებიდან არიან ჩამოსულნი: უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან,— ამბობს პაპა და თან გოგონებს ალერსიანად უქნევს თავს.

— უყურე, უყურე, შვილო, — უჩვენებს პაპა თინიკოს წინ მიმავალ სტუმრებზე, — ესენი სახალხო დემოკრატიული ქვეყნებიდან არიან: პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, რუმინეთიდან.

თინიკომ იცის, რომ მათი მიწა-წყალი ფაშისტებისაგან საბჭოთა არმიამ გაანთავისუფლა და ახლა იქაც ახალი, ლამაზი ცხოვრება შენდება.

რომელ ენაზე აღარ ლაპარაკობდა ეს ხალხი, მაგრამ ერთი სიტყვა, სტალინი— რომელსაც აღტაცებით წარმოსთქვამდნენ ისინი, — ყველასათვის გასაგები იყო.

— ხედავ, — აღტაცებით ეუბნებოდა პაპა, — ხედავ, როგორ უყვართ მთელი ქვეყნის მშრომელებს ჩვენი ბელადი!

ყოველდღიურად ათასობით ადამიანები მოდიან აქ ჩვენი კავშირის ყოველ კუთხიდან, სხვადასხვა ქვეყნებიდან. ყველას სურს ფეხი შესდგას იმ მიწაზე, სადაც დაიბადა მშრომელთა ბელადი.

— მადლობელი ვარ, პაპა, აქ რომ წამომიყვანე. — წასჩურჩულა მოხუცს თინიკომ.

— ყველაფერი, რასაც ხედავ, ჩემო გოგონა, ეს დიდი სახლები, ლამაზი ქუჩები აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაკეთდა,—უამბობდა პაპა მიხაკო, — ოქტომბრის რევოლუციამდე აქ არაფერი იყო. კარგად მხოლოდ მემამულეები და ვაჭრები ცხოვრობდნენ, მუშები და გლეხები კი წელში წყდებოდნენ. მხოლოდ სტალინი, — ამაყად დაუმატა მოხუცმა, — სტალინი ისევე, როგორც ლენინი, იბრძოდა იმისათვის, რომ მუშებსა და გლეხებს დაემხოთ მემამულეები და კაპიტალისტები და თავიანთი ცხოვრება კარგად მოეწყოთ.

მოხუცმა თინიკოს ის შენობაც უჩვენა, სადაც დიდი სტალინი სწავლობდა.

თინიკო დიდი ინტერესით ეკითხებოდა პაპას. მას სურდა რაც შეიძლება მალე ენახა ბელადის სახლი.

— ეს ძველთაძველი სიმაგრეა, — ეუბნება თინიკოს პაპა და უჩვენებს მთას, რომელზეც ციხის ნანგრევებიღაა.

მაგრამ რაკი უკვე სტალინის სახლთან მივიდნენ, პაპამ საუბარი შეწყვიტა.

რას ხედავს თინიკო: მის თვალწინ თეთრი მარმარილოს პავილიონია: ისეთი ლამაზი, რომ თვალს ვერ მოსწყვეტ. პავილიონში პატარა აივნიანი აგურის სახლია ჩადგმული. ამ სახლიდან სამხედროები გამოვიდნენ. მათ გულზე ორდენები უელვარებდათ. თინიკო მათ სიყვარულით უმზერდა. მან იცის, რომ ეს ორდენები საბჭოთა მეომრებმა სამშობლოს დაცვაში მიიღეს.

ნეტავი თინიკოს და პაპას რიგი როდისღა მოვა იმ სახლში შესასვლელად. ძალიან ბევრი ხალხია... ყველამ რიგი უნდა დაიცვას.

აი, ის ოთახიც, სადაც მუშა ჯულაშვილის, დიდი სტალინის მამის ოჯახი ცხოვრობდა. უკვირს თინიკოს, — თურმე რა ღარიბად ცხოვრობდნენ წინათ მუშები. თეთრსუფრაგადაფარებული უბრალო მაგიდა. სკამების მაგივრად შეღებილი ხის ტაბურეტები. მაგიდაზე თიხის დოქი და თითბრის ლამპა.

— საღამოობით ამ ლამპას ანთებენ,— ეუბნება თინიკოს პაპა, — და სტალინის პატარა სახლში მთელი ღამის განმავლობაში შუქი ციმციმებს...

თინიკო გულდასმით ათვალიერებს ოთახს. მას სურს კარგად დაიხსომოს, სად რა დგას.

აი, ფანჯარასთან ტახტი, მის გვერდით სკივრი და ყუთი, რომელშიაც თურმე პურს ინახავდნენ. კედელში თახჩებია გაკეთებული. აქვე პატარა ჭურჭლის კარადა დგას. ზედ პატარა სამოვარი და ჩარჩოში ჩასმული მრგვალი სარკეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი ეს თინიკოს თვალწინ წარმოუდგა, ყველაფერი ნათლად გაახსენდა...

მას შემდეგ სამ წელზე ცოტა მეტმა დრომ გაიარა.

აგერ, ახლაც მიდიან თინიკო და პაპამისი გორის ქუჩებში, დიდი სტალინის სახლისაკენ...

გორი კი ამ უკანასკნელ წლებში უფრო გალამაზდა. აქ დიდი და ახალი კომბინატი აშენდა. კომბინატის გარშემო კი ბევრი ლამაზი სახლი ჩამწკრივ-

და, ერთ-ერთ მათგანში თინიკო ცხოვრობს. თინიკოს მამა ამ კომბინატის მოწინავე მუშაა და ვეებერთელა, ნათელი ბინა მისცეს.

მძიმედ მიაბიჯებდა მიხაკო, უჭირდა მოხუცს სიარული.

რა უცბად დაბერდა. — გაიფიქრა თინიკომ და გულისტკივილით შეხედა პაპას.

უსაზღვრო დარდი გაუჩნდა მოხუც მუშა მიხაკოს... უსაზღვრო დარდი აღრჩობს პატარა მოსწავლე თინიკოს... უსაზღვრო დარდს მოუცავს მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულები.

აღარ გვყავს დიდი სტალინი!..

თინიკო პირველად ხედავს სევდამორეულ პაპას, მის დაღარულ სახეზე ღაპაღუპით მომდინარე ცრემლს. როგორ გულჩათუთქულნი ტირიან მცხოვრებნი.

მოდიან და მოდიან ადამიანები.

ხალხი ჩამოდის საქართველოს ყველა კუთხიდან, საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქიდან. ჩამოდიან იმისათვის, რომ ამ მძიმე დღეებში ერთხელ კიდევ ნახონ ის სახლი, სადაც დაიბადა ყველაზე საყვარელი ადამიანი.

თინიკო გრძნობს, რომ მარტო ადამიანები კი არ დასტირიან საყვარელ ბელადს, თვით ბუნებაც კი გლოვობს ბუმბერაზ ადამიანს...

გორში ცივა... ცა მოღუშულა, გორს მძიმე დარდი შემოსწოლია. აღარ ისმის სიმღერა, მხიარული სიცილი.

საყვარელი ბელადის სახლის წინ მწუხარებით გაქვავებულა ხალხი.

გაისმის მათი ფიცი, რომ იცხოვრონ და იშრომონ ისე, როგორც მათ ასწავლიდათ საყვარელი სტალინი.

— გეფიცები შენ, ძვირფასო და მშობლიურო სტალინ, — ჩურჩულებს თინიკო, — ვიცხოვრო და ვიშრომო ისე, როგორც შენ გვასწავლიდი.

თინიკო და მისი პაპა დიდხანს იდგნენ საყვარელი სტალინის სახლთან.

ბინდი თანდათან ჩამოწვა. ქალაქში სინათლე აინთო.

სტალინის სახლშიც აანთეს ლამპა და თინიკოს ეჩვენებოდა, თითქოს ამ შუქს, რომელიც ბელადის სახლიდან გამოკრთოდა, — ხედავდა დედამიწის ზურგზე მცხოვრები ყველა ადამიანი.

ანა აბლაძე

ნახატები **ალ. ბანძელაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევ მისი მზე ანთია



მშრომელთა დიდმა ბელადმა
თვალი დახუჭა მარადის...
მას ჩვენზე ფიქრი მუდმივი
გაჰყვა სამარის კარამდის.
მან ააშორა სამშობლოს
ვერაგის ხელი მზაკვრული,
მან მოგვცა ტკბილი ბავშვობა,
ბედნიერება ზღაპრული.
არ გვჯერა მისი სიკვდილი,
თუმც ცრემლი გვიკრთის თვალებში,
გვგონია, ისევ გვიღიმის,
ისევ გვიცქერის ალერსით.
გვგონია, წელსაც, როდესაც
მოვა წარმტაცი მაისი,
მავზოლეუმის კიბეზე
ავა ჩვეული ხალისით.
ვაშა დაჰფარავს მოედანს,
ყვავილებს ვესვრით საყვარელს,
ის ხელს დაგვიქნევს მაღლიდან,
მოგვესალმება პატარებს;
გვგონია, მისი ხმა გვესმის
ყოველ ცისმარე განთიადს...
და არც შევმცდარვართ, —
ჩვენს გულში
ისევ მისი მზე ანთია!
გზას ისევ ძია სტალინის
თვალების ბრწყინვა გვინათებს;
გვირჩევს სწავლას და გმირობას,
გულში გვინერგავს სიმართლეს.

ალექსანდრე ბეგაშვილი

ნახატი ზ. ლეჟავასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ყვავილები

— მასწავლებელო ნატო!

— დეიდა ნატო! — არ აცლიდნენ ბავშვები ერთმანეთს.

— ჩვენმა სუმბულმა გაიხარა!

— გაიზარდა და ამ დღეებში გაიშლება კიდეც!

— ისეთი კარგია, ყვავილები ზანზალაკებს მიუგავს! — დაუმატა ნუნუმ.

— ვიცი, ვიცი, — გაუღიმა მასწავლებელმა, — წავიდეთ, ერთად ვნახოთ!

ბავშვები დასწვდნენ თავიანთ პატარა ფერად სარწყავებს და ხმაურით გაჰყვნენ მასწავლებელს. სათბურში, თიხის ქოთნებში გაზრდილი ნაადრევი ყვავილები ერთმანეთს სჯობდნენ. ზოგი თოვლივით თეთრი იყო, ზოგი — ღია ვარდისფერი, ზოგიც — მოლურჯო.

— დეიდა ნატო, ეს ჩემია, მე ვუვლიდი. — თქვა გურამმა, როდესაც შეამჩნია, რომ მასწავლებელმა ყურადღება მის ნაამაგარ ყვავილს მიაქცია.

— ეს ჩემია, დეიდა ნატო! დახეთ, ცოტა დაბალია, მაგრამ ყვავილები კი ყველაზე დიდები აქვს! — ეწეოდა მასწავლებელს ხალათის კალთაზე მარინე.

— მე მინდა, ჩემს დედიკოს ვაჩუქო.

— ეს თეთრი ყვავილი ჩემია, — თქვა ნიამ, — მე ჩემს ბებიკოს ვაჩუქებ. ბებიას თეთრი თმები აქვს!

— მე დედა არა მყავს, არც ბებია, — სინანულით თქვა ვაჟამ, — მე... — ბავშვს უნდოდა ეთქვა: „დეიდა ნატოს ვაჩუქებო“, მაგრამ თავი შეიკავა და საიდუმლოდ შეინახა თავისი განზრახვა. მხოლოდ ღიმილით შეხედა მასწავლებელს. დეიდა ნატო თითქოს მიუხვდა და თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი.

— მაშ, ჩემო პატარებო! — მხიარულად უთხრა მასწავლებელმა, — ეს ყვავილებიც ძალიან მალე გაიშლება და ჩვენ რვა მარტისათვის მოვიწვიოთ თქვენი დედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი და დიდ დარბაზში გადავიხადოთ ქალთა დღე.

— რა კარგია, — გაეხარდათ პატარებს,—შინ ნურავინ იტყვის, სახლში ჯერ არ უნდა იცოდნენ! — აფრთხილებდნენ ბავშვები ერთმანეთს.

— ბავშვებო, ბევრი დრო არა გვაქვს, უნდა მოვემზადოთ! — თქვა მასწავლებელმა, ბავშვებს გაუძღვა და თან დასძინა: — ეს ჩვენი საიდუმლოებაა და სხვებს ნუ გავუმხელთ.

ბავშვებმა ჩაიცინეს და თითებით ანიშნეს ერთმანეთს, ჩუმად იყავითო!

დარბაზში მისვლისთანავე მასწავლებელი ნატო შევიდა გამგის ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ გამგე და მასწავლებელი ერთად გამოვიდნენ. ბავშვები დარბაზში შეკრიბეს. გამგემ გამოუცხადა ყველას, რომ ერთი კვირის განმავლობაში სადღესასწაულოდ უნდა მოემზადოთო.

— აბა, თქვენ იცით, როგორ გაახარებთ თქვენს დედებს! — უთხრა გამგემ.

—ჩემს დიდედასაც. — ვერ მოითმინა ნიამ.

მარინემ სახელოზე ჩამოსწია, რომ ჩუმად ყოფილიყო.

გამგე განაგრძობდა:

— მოვამზადოთ სიმღერები, ცეკვები, ლექსები.

— ჩვენ ვიცით სიმღერები! — წამოიძახა ვილაცამ.

— უკეთ უნდა ვიცოდეთ, რომ არ შევრცხვეთ. თუ კარგად მოემზადებით, მაშინ სტუმრებს დავპატიჟებთ.

ბავშვებს ძალიან გაეხარდათ და ტაში შემოჰკრეს.

იმ დღიდან შეუდგნენ მზადებას. ერთი ჯგუფი, აღმზრდელის დახმარებით, ცეკვას სწავლობდა, მეორე — მოსაწვევ ბარათებზე ყვავილებს აფერადებდა, მესამე — როიალს შემოხვეოდა და იმეორებდნენ საყვარელ სიმღერას

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვევოდა იასა“.

ბავშვები და მასწავლებლები ბედნიერები იყვნენ.

გაზაფხულის დასაწყისი იყო. მზე ალერსით გამთბარ სხივებს უგზავნიდა ქვეყანას.

ერთ დილას ბავშვებმა გაიგეს, რომ ბელადი ავად გახდა. ხედავდნენ, რომ მასწავლებლები დაღონდნენ და გულისყური მოსკოვისაკენ ჰქონდათ. მშობლები ღელავდნენ. ყველა მხოლოდ ბელადის ჯანმრთელობაზე ლაპარაკობდა.

მიხვდნენ პატარები, რომ ბელადი მძიმედ იყო ავად, და მოიწყინეს. აღარ თამაშობდნენ, აღარ ხმაურობდნენ.

მესამე დღეს, დილით, ჩუმად მივიდნენ პატარები საბავშვო ბაღში. უკვე იცოდნენ ბავშვებმა, რით იყო გამოწვეული მათი მშობლების და ახლობლების ცრემლები და მწუხარება. აქაც თვალცრემლიანი მასწავლებლები და აღმზრდელები შემოეგებნენ.

პირველად ნახეს ბავშვებმა ნამტირალევი მასწავლებლები და ერთმანეთს ჩასჩურჩულებდნენ:

— იცი, იმიტომ ტირიან, რომ ძია სტალინი აღარ არის!

— ძია სტალინი გარდაიცვალა!

გული აუჩუყდათ და ტირილი დაიწყეს. გამგემ ბავშვები შეკრიბა, მიუთითა სურათზე, რომელზედაც საყვარელი დიდი სტალინი ბავშვებს შორის იყო და უთხრა:

— ჩემო პატარებო! ძია სტალინს უყვარდა ბავშვები. ის ზრუნავდა თქვენს სწავლაზე, თქვენს სიხარულზე, თქვენს დასვენებაზე. ძია სტალინი, გარდაიცვალა... მაგრამ, ყოველთვის ჩვენთან იქნება... ვისაც უყვარს ძია სტალინი მუდამ კარგი იქნება, ისე მოიქცევა და ისწავლის, როგორც ძია სტალინს უყვარდა!

ბავშვებმა ერთ კუთხეში მოიყარეს თავი და ჩუმად ჩურჩულებდნენ. როცა უფროსებმა დაიწყეს ოთახის სამგლოვია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ მორთვა, ბავშვები ეხმარებოდნენ, გაჰქონდათ თავიანთი პატარა სკამები, ალაგებდნენ სათამაშოებს, ეზიდებოდნენ დიდ ალბომებს.

ყველაფერი გაამზადეს უფროსებმა: შავი არშია შემოავლეს დროშებს, შავი არშია შემოავლეს ბელადის სურათს, მაგრამ ბელადი ღიმილით და სიყვარულით დასცქეროდა მის წინ მოფუსფუსე ბავშვებს. გამგემ დამლაგებელი გაგზავნა ყვავილების საყიდლად.

— აბა, შენ იცი, რაც საუკეთესო ყვავილები იქნება, ისინი წამოიღე.—დაუბარა გამგემ.

— მასწავლებელო! ჩვენი ყვავილები დავუდგათ! – წამოიძახა უცბად გურამმა.

— ჩემი ყვავილიც.—მუდარით უთხრა მარინემ.

— მეც მინდა, ჩემი ყვავილი ძია სტალინს ედგას! — დაუმატა ნიამ.

— ჩემიც!

— ჩემიც!

და ბავშვები გაიქცნენ სათბურისაკენ. დამლაგებელმა თვალებზე ხელები მიიფარა და აქვითინდა. ცოტა ხნის შემდეგ წეროებივით გაბმული ბავშვები მოდიოდნენ ცოცხალი ყვავილებით. ყოველ მათგანს მაგრად მიეკრა მკერდზე თიხის ქოთანი, რომ არ დავარდნოდა ხელიდან.

ფრთხილად, უსიტყვოდ აწყობდნენ ბავშვები თავიანთ ყვავილებს სურათის წინ და თვალებში უცქეროდნენ მომღიმარ, საყვარელ ძია სტალინს.

მარიჯან ალექსიძე

ნახატები **რ. ცუცქირიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრიბუნაზე რომ იდგა სტალინი

ტრიბუნაზე რომ იდგა სტალინი
და უბრწყინავდა ღიმილით სახე,
როცა ომს გმობდა, რეკდა ზარივით,
სწყვეტდა სიცოცხლის, მშვიდობის
საქმეს.—

მკითხავდა ნანა, რა არის ომი,
მას რატომ სდევნის სტალინი ასე.
რად არის ომი გაჟლეტის მდომი,
მშვიდობა კიდევ ვარდებით სავსე?!.

ტრიბუნაზე რომ იდგა ბელადი,
პირმოცინარი — გაწვდილი ხელით.
ხალხი ვარდებში ჩასვა ყელამდი,
მოსპო სიკვდილი, მწუხრი და ბნელი.

— რაა სიკვდილი!--მკითხავდა ნანა,
მას რატომ სდევნის სტალინი ბრძენი.
როგორ აჯობა სიკვდილის ძალას,
ჰარად რომ ცოცხლობს ლენინი ჩვენი!

გაღიმებული — ხვევნით, ფერებით,
ჩემს ცუგრუმელას ვეტყოდი რწმენით:
— წინ მიგვიძღვება, ბედნიერების
და სიკეთის გზით მივყავართ ლენინს.

... დღეს კი, როდესაც ტრიბუნის ქვევით
ხელებდაკრეფილს ვუცქერით სტალინს,
ტირის გოგონა ცრემლების ფრქვევით,
ღიმის მაგიერ ცრემლს აფრქვევს თვალი.

კვლავ მკითხავს იგი: რაგინდ ვეცადოთ,
აწი ვერ ვნახავთ საყვარელ ბელადს?
ვეღარ ვუმღერებთ „შავო მერცხალოს“,
ვეღარ მივუტანთ ყვავილებს ფერადს?!

და რომ გაიგო, მავზოლეუმში
ლენინთან ერთად იქნება მარად,
ცრემლი შეიშრო ნანამ და მითხრა:
— მაშ, არ მომკვდარა სტალინი, არა!

გრიგოლ იმედაძე
ნახატი **ვლ. ბორბაძისა**

ფასიჭამ. 4/186.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია სტალინს

აგვაცრემლე და ნიავიც
დაქვითინებს კარი-კარ...
პაწაწინა ლენინელებს
გულში ველარ ჩაგვიკრავ.

მოსკოვისკენ მტრედებივით
ფრენენ ჩვენი ფიქრები.
გავიზრდებით, შენი საქმის
დამცველები ვიქნებით.

ოთარ კუპრავა

ნახატი **ქ. მახარაძისა**

ყდის მხატვრობა ეკუთვნის **გრ. ჩირინაშვილს**

რედაქტორი **იოსებ ნონეშვილი.** სარედაქციო კოლეგია: **გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, ო. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი** (რედაქტორის მოადგილე), **რ. მარგიანი, ი. ხიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე**

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 3, Март 1953 г. Тбилиси, Ленина 14.
საბჭოტგამი. რედაქციის მისამართი. თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-37-38
გამომც. შეკვ. № 77. სტამბის შეკვ. № 443|848 ტირაჟი 15.000 უე 02805